Beteiligung

Beteiligung nach dem Art. 23 gStGB ist eine vorsätzliche und gemeinschaftliche Begehung einer vorsätzlichen Straftat. Damit ist im **georgischen Strafrecht** eine fahrlässige Teilnahme an einer vorsätzlichen Straftat und eine Teilnahme an einer fahrlässigen Straftat ausgeschlossen. Auch im **deutschen Strafrecht** setzt die Teilnahme in Form der Anstiftung, § 26 dStGB, und Beihilfe, § 27 dStGB, zwingend eine vorsätzliche Haupttat des Täters sowie eine vorsätzliche Mitwirkung des Teilnehmers voraus. Das georgische und deutsche Strafrecht vertreten somit bei vorsätzlichen Straftaten den restriktiven Täterbegriff. Täter ist derjenige, der in eigener Person oder durch einen anderen einen Straftatbestand aus dem Besonderen Teil des Strafrechts begeht (Art. 22 gStGB bzw. § 25 dStGB). Um andere, an der Tat beteiligte Personen (Organisator, Anstifter, Gehilfe) zu bestrafen, sind im gStGB Art. 24 und Art. 25 vorgesehen; Deutschland kennt hingegen nur die Anstiftung (§ 26 dStGB) und Beihilfe (§ 27 dStGB). Verletzen mehrere Personen eine Sorgfaltspflicht und verursachen dadurch einen Erfolg, sind sowohl nach georgischem als auch nach deutschem Strafrecht alle Täter der fahrlässigen Straftat. Im Bereich der Fahrlässigkeit herrscht somit sowohl im georgischen als auch im deutschen Strafrecht der extensive Täterbegriff. In Deutschland kann sich als Täter eines Fahrlässigkeitsdelikts anerkanntermaßen auch derjenige strafbar machen, der sich nur fahrlässig beteiligt, d.h. ohne Vorsatz, aber in einer objektiv pflichtwidrigen Weise beim Täter den Tatentschluss hervorruft oder dessen Tat fördert. Nach dem gStGB muss für die Beteiligung der Täter eine Straftat begehen (dies ist in der letzten Zeit allerdings umstritten), im Unterschied zu dem dStGB, in dem das Begehen einer tatbestandsmäßigen und rechtswidrigen, aber nicht notwendig schuldhaften Tat ausreicht (sog. limitierte Akzessorietät). (Esc/Kmt)

თანამონაწილეობა

სსსკ-ის 23-ე მუხლის მიხედვით თანამონაწილეობაა ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ამდენად, **ქართულ სისხლის სამართალში** გამორიცხულია გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა განზრახ დანაშაულში და თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ დანაშაულში. **გერმანულ სისხლის სამართალშიც** თანამონაწილეობა წამქეზებლობის, გსსკ-ის 26-ე პარაგრაფი, და დახმარების, გსსკ-ის 27-ე პარაფრაფი, ფორმით უცილობლად მოითხოვს როგორც ძირითადი ქმედების, ასევე თანამონაწილის ქმედების განზრახ ჩადენას. ამგვარად, ქართული და გერმანული სისხლის სამართალი განზრახი დანაშაულებისას ამსრულებლის რესტრიქციულ ცნებას იზიარებს. ამსრულებელია ის, ვინც თავად ან სხვისი მეშვეობით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს (სსსკ-ის 22-ე მუხლი და გსსკ-ის 25-ე პარაგრაფი). ქმედებაში სხვა მონაწილეთა დასასჯელად (ორგანიზატორი, წამქეზებელი,

დამხმარე) სსსკ-ში გათვალისწინებულია 24-ე და 25-ე მუხლები; გერმანიაში კი ცნობილია მხოლოდ წამქეზებლობა (გსსკ-ის 26-ე პარაგრაფი) და დახმარება (გსსკ-ის 27-ე პარაგრაფი). თუ რამდენიმე პირი წინდახედულობის ნორმას ხელყოფს და ამგვარად შედეგს გამოიწვევს, როგორც ქართული, ასევე გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ყველა გაუფრთხილებელი დანაშაულის ამსრულებელია. ამგვარად, გაუფრთხილებლობის სფეროში როგორც გერმანულ, ასევე ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულია ამსრულებლის ექსტენსიური ცნება. გერმანიაში აღიარებულია, რომ გაუფრთხილებელი დელიქტის ამსრულებლობისათვის შეიძლება დაისაჯოს ის, ვინც (ქმედებაში) მხოლოდ გაუფრთხილებლად მონაწილეობს, ე.ი. განზრახვის გარეშე, მაგრამ ობიექტურად წინდახედულობის ნორმის დარღვევით ამსრულებელში ქმედების განხორციელების გადაწყვეტილების იწვევს ან მის ქმედებას უწყობს ხელს. სსსკ-ის მიხედვით, თანამონაწილეობისათვის ამსრულებელმა დანაშაული უნდა ჩაიდინოს (თუმცა, სადავოა ამ ბოლო დროს), განსხვავებით გსსკ-სგან, რომლის მიხედვითაც საკმარისია ქმედების შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა და ქმედების ბრალეულობა არაა აუცილებელი (ე.წ. ლიმიტირებული აქცესორობა). (Esc/Kmt)